შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№2 (9.567)

25 იანვარი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

საკრებულოს სხდომაზე

25 იანვარს გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი უძღვებოდა. პირველი საკითხი"დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განსახილველად საკრებულოს წევრებს მან და მუნიციპალიტეტის გამგებელმა წარუდგინეს.როგორც ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ამ ცვლილებების მიხედვით მნიშვნელოვნად უმჯობესდება მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების პაკეტი, ასევე სკოლამდელი აღზრდის, კულტურული და სპორტული ცენტრების ფუნქციონირება. ბიუჯეტში განისაზღვრა თანხები ქალაქ დედოფლისწყაროში მრავალსართულიანი კორპუსების დაზიანებული სახურავების შეკეთებისა და წყალმომარაგების მოწესრიგებისთვის, სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

საკრებულოს წევრებმა გამგეობაში სტაჟირების გავლის წესი დაამტკიცეს, რომელიც უამრავ ახალგაზრდას საშუალებას მისცემს დაპროფესიონალდეს და შემდეგ უკეთ გადაწყვიტოს, რომელ სფეროში ისურვებს დასაქმებას. სტაჟირების პერიოდი ერთი წლით განისაზღვრება და უფასო იქნება.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად დაამტკიცეს საკითხი" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აპრილის №56 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ხორნაბუჯი" შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედაც ლევან ჯამალაშვილი აირჩიეს. საკრებულომ მიიღო ასევე საკითხი „საკრებულოს ბიუროს შექმნის შესახებ" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივნისის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბაღში ბავშვებს კვება გაუუმჯობესდათ

ის, რომ ბაღებში კვება გაუმჯობესდა, ამის შესახებ ინფორმაცია ბაღის პედაგოგებისგან მშობლებმა უკვე მიიღეს, რისთვისაც კმაყოფილებას გამოთქვამენ როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები.

- „ამჟამად ბავშვები მიირთმევენ ძროხის წვნიანს და ძალიან მოხარულები ვართ ამით, ბავშვებსაც გაბრწყინებული სახეები აქვთ, როცა ვეკითხებით მოგწონთ თუ არასაკვებიო, ყველა ერთხმად იძახის, რომ მოგვწონსო."-ამბობს ჩვენთან საუბარში ბაღის მეთოდისტი და გამოცდილი პედაგოგი ნათელა თამაზაშვილი.

- „კმაყოფილი ვარ, პირადად მე ძალიან ვცდილობდი და ბოლომდე ვედექი იმ მშობლების გვერდით, ვინც კვების რაციონის გაუმჯობესებას ითხოვდა. ვფიქრობ, რაც მოვითხოვეთ, ყველაფერი შემოიტანეს რძის ნაწარმის გარდა. მინდოდა ხაჭოც შემოეტანათ, მაგრამ ეტყობა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, თუმცა, რაც გაკეთდა, ესეც წინ გადადგმული ნაბიჯია, რისთვისაც მშობლების სახელით მადლობას ვუხდი სკოლამდელი აღზრდის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობებს."- ამბობს ჩვენთან საუბარში მშობელი ნონა ბოჭორიშვილი.

წინა წლების მენიუსთან შედარებით ამჟერად დამატებულია „პერლოვკის" ფაფა, ძროხის ხორცის წვნიანი, ქათმის წვნიანი, კვერცხი, კისელი და კაკაო. რაც მთავარია, გაუმჯობესებულია პურის ხარისხი და მისი ოდენობაც აქამდე რომ ეკონომიურად იყო, ამჯერად მკვეთრად გაზრდილია ეს ბავშვზე პურის მიღების ოდენობა. ბაღები მომარაგებულია რაიონში ყველაზე საუკეთესოდ წარმოებული პურით. ვფიქრობ, რომ ეს გახლავთ უმაღლესი კვება ბავშვებისთვის.ასეთი კვების რაციონი დედოფლისწყაროს ბაღებში ორი ათეული წელია, არ ყოფილა. ამჯერად ახალმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მშობლების მოთხოვნა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბაღებში საუკეთესო კვება აღდგენილიყო, რაც მრავალწლიანი თხოვნის მიუხედავად არ მოხერხდა, ამჯერად დაკმაყოფილებული იქნა, რაც ფრიად სასიხარულო და მისასალმებელია თითოეული ჩვენთაგანისთვის.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა თინა ხიდაშელმა ბაღებში მშობლის გადასახადის გაუქმების შესახებ კანონპროექტს გაუწია ინიცირება, თუ აღნიშნული საკითხი პარლამენტმა მართლაც დაამტკიცა, მაშინ ხომ საერთოდ აღარაფერი ექნებათ საწუწუნო მშობლებს.

ლალი მეხრიშვილი.

საჩუქრები სათნოების სახლის ბინადართ და გმირების ოჯახებს

ნოსტალგია არ იკურნება!...

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი"

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის" პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი" ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი" – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ივანიშვილი მედვედევს შეხვდა

რუსეთის პრემიერ მინისტრი დიმიტრი მედვედევი საქართველოს პრემიერს ბიძინა ივამიშვილს დავოსში გაესაუბრა. რუსული მედია აღნიშნავს, რომ ეს შეხვედრა პირველია ქვეყნის მთავრობის მეთაურებს შორის, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შედგა.

„რუსეთის პრემიერ-მინისტრი დავოსის ეკონომიკური ფორუმის სტუმრების პატივსაცემად გამართულ მიღებაზე საქართველოს პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს გაესაუბრა",– ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ერთ ერთ რუს ბიზნესმენზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა.

„საქართველოს პრემიერი თავად მივიდა მედვედევთან და მათ რამდენიმე წუთის განმავლობაშო რაღაცაზე ისაუბრეს", – წერს რუსული მედია.

რუსეთის მთავრობის მეთაურის პრესსამსახურის ხელმღძვანელის ნატალია ტიმაკოვას ზოგადი ინფორმაციით, ამგვარი დიდი ფორუმების დროს ტრადიციულად ხდება მრავალი კონტაქტი მონაწილეთა შორის.

ბიძინა ივანიშვილი: "მალე ყველა დარწმუნდება, რომ საქართველოში ევროპული ტიპის და სამართლიანი ხელისუფლება მოვიდა"

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლებაში მისი მოსვლიდან მეორე წელი კარგი იქნება, მესამე — ძალიან კარგი და მეოთხეზე უკვე ყველა იგრძნობს, რომ საქართველოში სიტუაცია შეიცვალა.

ამის შესახებ ივანიშვილმა ჟურნალისტებს დავოსში ვიზიტის შეფასებისას განუცხადა.

"ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი იყო, ამ მინიმალურ დროში, რაც შესაძლებელი იყო, ბევრი შეხვედრა გავმართეთ. გუშინ მგონი საერთო ჯამში 11 შეხვედრა გავმართეთ. შედეგებს ალბათ, მოგვიანებით ვიხილავთ. მე გპირდებით, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის მეორე წელიწადი იქნება კარგი, მესამე - ძალიან კარგი, მეოთხე წელიწადს კი უნდა ვიგრძნოთ, რომ საქართველოში სიტუაცია ჭეშმარიტად შეიცვალა. ამისთვის ყველაფერი კეთდება, დღეს ამას ვერ ვიგრძნობთ, მაგრამ ჩვენ ამისთვის საფუძველს ვამზადებთ და ინვესტორები აუცილებლად დაინტერესდებიან ჩვენი ქვეყნით. მალე ყველა დარწმუნდება, რომ საქართველოში ევროპული ტიპის და სამართლიანი ხელისუფლება მოვიდა", - განაცხადა ივანიშვილმა.

ქართულ-აზერბაიჯანული საზღვრის დემარკაცია დაიწყო

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხზე მოლაპარაკებები გრძელდება.

როგორც აზე.აზ-ს აზერბაიჯანის შესაბამისი კარტოგრაფიის კომისიის ხელმძღვანელმა გარიბ მამედოვმა განუცხადა, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვარი სულ 480 კილომეტრს შეადგენს, საიდანაც 300 კილომეტრზე მხარეები უკვე შეთანხმებულები არიან.

"რაც შეეხება დარჩენილ 180 კილომეტრს, კომისიის დონეზე მისი განხილვა უკვე მოხდა და ეს საკითხი უკვე დოკუმენტირებულია. ამ დროისთვის ჩვენ ველოდებით საქართველოს დიპლომატიური არხებიდან თბილისში მიწვევას. როდესაც ამ მიწვევას მივიღებთ, მოლაპარაკებები გაგრძელდება", - განაცხადა მან.

როგორც ცნობილია, მხარეებმა შეთანხმება ამ დრომდე ვერ მოახერხეს საზღვრის იმ ნაწილზე, სადაც დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს.

ილია მეორე: "ქართული და რუსული ეკლესიების ურთიერთობა მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოთშორისი ურთიერთობა"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის განცხადებით, ქართული და რუსული ეკლესიების ურთიერთობა მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოთშორისი ურთიერთობა.

ამის შესახებ უწმინდესმა რუსეთში, წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში ბრძანა.

„ის ურთიერთობა, რომელიც არის საქართველოსა და რუსულ ეკლესიას შორის, ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იყოს სახელმწიფოთა შორის", - ბრძანა უწმინდესმა და ქართველ ემიგრანტებს სამშობლოში მალე დაბრუნება უსურვა.

6 დასახელების არაჟნიდან ნამდვილი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა

ლაბორატორიული კვლევის შედეგად 6 დასახელების არაჟნიდან ნამდვილი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" ავრცელებს, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროექტს ახორციელებს.

ორგანიზაციის ცნობით, ლაბორატორიაში 6 დასახელების არაჟანი - „სანტე", „სანტინო", „სოფლის ნობათი", „მარგო", „ეკო-ფუდი" და „პრეზიდენტი" შემოწმდა. ლაბორატორიული კვლევის მიზანი იყო, პროდუქტში რძის ცხიმისა და რძემჟავა ბაქტერიების შემცველობის გაზომვა.

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ არაჟანი „სანტინო 20%" სუფთა არაჟანია. სხვა პროდუქტებიდან, სუფთა არაჟანთან ყველაზე ახლოს არის „სოფლის ნობათი" და „პრეზიდენტი". მათში ცხიმის 90% რძის ცხიმია. სხვა პროდუქტები კი უბრალოდ, არაჟანი არ არის, რადგან მათ შემადგენლობაში რძის ცხიმი ან საერთოდ არ არის, ან 5%-ს არ აღემატება.

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" ინფორმაციით, პროდუქტებს, რომლებიც რძის ცხიმს არ შეიცავენ, ეტიკეტზე მითითებული აქვთ, რომ შეიცავენ აღნიშნულ ცხიმს. „საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, რძის პროდუქტის დასახელებით არ შეიძლება გაიყიდოს პროდუქტი, რომელიც რძის ცხიმის გარდა სხვა ცხიმს შეიცავს. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება არაჟნებში რძემჟავა ბაქტერიების არსებობას, ლაბორატორიული დასკვნის მიხედვით ცოცხალი რძემჟავა ბაქტერიები ყველა პროდუქტში აღმოჩნდა", — განაცხადეს ორგანიზაციაში.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ლაბორატორიული კვლევის შედეგებს რეაგირებისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაუგზავნის.

ზაზა კედელაშვილი ფრაქციას იცვლის

დედოფლისწყაროს მაჟორიტარი ზაზა კედელაშვილი ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობიდან" გადის და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — მაჟორიტარებში" ერთიანდება.

საპარლამენტო უმცირესობაში შემავალ სამ ფრაქციაში ამ დროისთვის მიმდინარე ცვლილებებზე განმარტებები ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — მაჟორიტარების" თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძემ გააკეთა.

მისივე თქმით, ახალციხის მაჟორიტარი ვაჟა ჩიტაშვილი „ნაციონალური მოძრაობიდან" ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონებში" შესვლის მიზნით გავიდა.

კედელაშვილმა ალექსანდრე თამაზაშვილს მცირე სხვაობით მოუგო.

ბობოხიძის განმარტებით, იმის გამო, რომ უმცირესობაში შემავალი ორი ფრაქცია — „ნაციონალური მოძრაობა — მაჟორიტარები" და "ნაციონალური მოძრაობა — რეგიონები" მინიმალური, 6-6 დეპუტატით არიან წარმოდგენილი, მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ ფრაქციები 7 წევრამდე გაიზარდოს.

„ვხედავთ, რომ ადგილი აქვს დეპუტატებზე ზეწოლას, რათა მოხდეს კონსტიტუციით დამტკიცებისთვის საჭირო 100 ხმის მოპოვება. ამასთან, საგაზაფხულო სესიაზე დღის წესრიგში საკონსტიტუციო პროექტების კენჭისყრა მოხდება და შესაძლოა, ეს ზეწოლები კიდევ უფრო გაძლიერდეს, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ფრაქციების შემადგენლობა 7 დეპუტატამდე გაიზარდოს", — აცხადებს აკაკი ბობოხიძე.

ამასთან, აკაკი ბობოხიძე იმედს გამოთქვამს, რომ საგაზაფხულო სესიისთვის „ნაციონალური მოძრაობის" შემადგენლობას მაჟორიტარები არ დატოვებენ და შემთხვევებს, როდესაც მაჟორიტარები უმცირესობიდან გავიდნენ, ადგილი აღარ ექნება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შემადგენლობას 8 მაჟორიტარი დეპუტატი უკვე გაემიჯნა. ამასთან კულუარებში სახელდება რამდენიმე დეპუტატის გვარი, რომლებმაც შესაძლოა, უმცირესობის რიგები დატოვონ.

სასულიერო პირის დაჭრაში ბრალდებული დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის ნასამართლევი, 1964 წელს დაბადებული გიორგი დ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში, სასულიერო პირი, მამა გაბრიელი და ვასილ წ. დანით რამდენიმე ადგილას დაჭრა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში, ბრალდებული, მომხდარიდან 20 წუთში, ცხელ კვალზე დააკავეს. სამართალდამცველებმა გიორგი დ—ს პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი- დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაჭრილების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამ დროისთვის, სტაბილურია.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით აღიძრა. დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

შეხვედრა სამთაწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობას შეხვდნენ.შეკრების ძირითადი მიზანი იმ პრობლემებზე საუბარი იყო,რომლებიც სამთაწყაროელებს მრავალი წლის განმავლობაში დაუგროვდათ,მათი მოგვარების გზებზე კი დღემდე არცერთი ხელისუფლებისგან რეალური პასუხი არ მიულიათ.მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს კითხვები სახნავ-სათეს მიწებსა და საძოვრებზე დაუსვეს. კითხვა–პასუხის რეჟიმში გამართული შეხვედრის თემას აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის აღდგენა,მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და შეშის პრობლემაც წარმოადგენდა. ,,პრობლემები,რომელთა გადაჭრაც ჩვენს კომპეტენციაშია, ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოვაგვაროთ,სხვა საკითხებთან დაკავშირებით კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან შუამავლობას გაგიწევთ"–განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.გადაწყდა,რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები კიდევ გაიმართება,რაც ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

გამგეობის პრესსამსახური

დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებში გადასახადი გაუქმდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ბაღებში გადასახადს ამიერიდან მშობლების ნაცვლად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი გადაიხდის. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ადგილობრივი ხელისუფლების ეს ინიციატივა 25 იანვრის საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცეს. დედოფლისწყარო მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი რაიონია, სადაც პარლამენტის წევრის თინა ხიდაშელის ინიციატივა საქმედ იქცა.

შეგახსენებთ, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რამდენიმე დღის წინ გამოვიდა. „საქართველოს კონსტიტუციაში შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს საბავშვო ბაღებში ბავშვების განათლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო. ბაღებში სწავლის საფასური არ უნდა იყოს. სხვა საქმეა, თუ მშობელს უნდა, მისი შვილი ბაღში შექმნილ სხვადასხვა სასწავლო წრეში ატაროს", - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

საკადრო ცვლილებები
კვლავ ძველ ამპლუაში

მინი დოსიე:

გია გოგილაშვილი დაიბადა 1956 წლის 15 მარტს, დაამთავრა ქ. წითელწყაროს №1 საშუალო სკოლა, 1978 წელს-ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სეტყვასთან ბრძოლის სამსახურში რადიოლოკაციის ინჟინრად, 1986 წლიდან ქალაქ წითელწყაროს კომუნალური სამსახურის დირექტორად, 1987 წელს სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის სათაო ნაწილის მეთაურად, 1988 წლიდან ეწეოდა პარტიულ საქმიანობას, 1992-96 წწ. იყო დედოფლისწყაროს სასმელი წყლების დირექტორი, 1997-99 წლებში სახელმწიფო დაზღვევის დირექტორი, 2004-2008 წწ.სასმელი წყლების დირექტორი, 2012 წლის დეკემბრიდან კვლავ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერია.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ახალი მენეჯერი, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, ამბობს, რომ წყალმომარაგების თვალსაზრისით დედოფლისწყაროში დადებითი ძვრები შეინიშნება, თუმცა, ლაფსუსები წინა ხელისუფლების დროს ნაჩქარევად გაკეთებული საქმის გამოა. „2007 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო გამრიცხველიანება, მათ შორის დედოფლისწყაროშიც. ამან დადებითი შედეგი გამოიღო ქალაქ დედოფლისწყაროში წყალმომარაგების თვალსაზრისით, მაგრამ სოფლებში კვლავ პრობლემებია. ოთხ სოფელს- ოზაანს, გამარჯვებას, მირზაანსა და ზემო მაჩხაანს მარტო თავწყაროს წყალი ეყოფა, მაგრამ წყლის მრიცხველების დამონტაჟებაა აუცილებელი"-აცხადებს გია გოგილაშვილი.

გოგილაშვილი ამბობს, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში არსებობს დამატებითი რეზერვუარი, რომლის შეკეთებაც უახლოეს მომავალში იგეგმება და რომლის მეშვეობითაც დედოფლისწყაროელებს წყლის მარაგის ნაკლებობის პრობლემა საბოლოოდ მოეხსნებათ. ახალი ხელისუფლება ამისთვის არც თანხებს და არც ძალისხმევას არ დაიშურებს. მისი მთავარი გზავნილი კი ასე ჟღერს: „მოსახლეობაში ავამაღლოთ წყლის მოხმარების კულტურა".

სოფლებს ახალი რწმუნებულები ჰყავს

სოფელ საბათლოს რწმუნებული

კარენ მუსაელიანი:

დაიბადა 1987 წლის 24 ივლისს სოფელ საბათლოში. დაამთავრა სოფელ საბათლოს საშუალო სკოლა.მუშაობდა საზღვრო პოლიციაში.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

სოფელ სამთაწყაროს რწმუნებული

გულო ნადირაშვილი:

დაიბადა 1959 წლის 17 სექტემბერს დედოფლისწყაროში.დაამთავრა ბაკურციხის ტექნიკური სასწავლებლის აგრონომიული ფაკულტეტი.მუშაობდა სამთაწყაროს მევენახეობის ბრიგადაში ბრიგადირად.ეწეოდა კერძო ფერმერულ საქმიანობას.ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ქალაქის ბიბლიოთეკამ, შესაძლოა, სათესლე მეურნეობის შენობაში დაიდოს ბინა

დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკამ, რომელიც ამჟამად კულტურის სახლის მცირე დარბაზს აფარებს თავს, შესაძლოა ბინა დედოფლისწყაროს ყოფილი სათესლე მეურნეობის (ქალაქწყალკანალის გადასწვრივ) შენობაში დაიდოს ბინა. —„ამჟამად მიმდინარეობს მუშა პროცესი და მოლაპარაკებები აღნიშნული სათესლე მეურნეობის სანოტარო წესით გადმოცემის შესახებ, ხოლო ამის შემდეგ დადგება შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო თანხების მოძიების საკითხიც."-აღნიშნა ჩვენთან საუბარში დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის გამგემ ქალბატონმა მანანა მაჭარაშვილმა. ასე რომ, სულ მალე ჩვენთვის ყველაზე საყვარელ დაწესებულებას, ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, საკუთარი შენობა და ჭერი ექნება, რაც ფრიად სასიხარულო ფაქტი გახლავთ, რამეთუ ბიბლიოთეკის შენობის გარეშე ყოფნით, ვფიქრობთ, ყოველი ჩვენი თანამოქალაქე დათრგუნულად გრძნობს თავს. ამჟამად რაიონული ბიბლიოთეკა 75 ათას წიგნს ითვლის საცავში, სადაც გაერთიანებულია საქალაქო, რაიონული და საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნები.

ამ დღეებშივე გავრცელდა ინფორმაცია სოფლებში რამდენიმე ბიბლიოთეკარის შემცირების თაობაზე, რაც სოფლების მოსახლეობამ მტკივნეულად აღიქვა. მოსახლეობა ამ ფაქტში სოფლების ბიბლიოთეკების გაუქმების საფრთხეს ხედავდა, რაც სავსებით ცრუ ინფორმაცია გახლავთ და არაა გამორიცხული ამგვარი ჭორის აგორება ოპონენტების მხრიდან ყოფილიყო ინიცირებული. ჩვენ ამ საკითხზე ვესაუბრეთ რაიონული ბიბლიოთეკის გამგეს, რომელმაც კატეგორიულად გამორიცხა სოფლებში ბიბლიოთეკების გაუქმება და აღნიშნა, რომ მცირედი საკადრო ცვლილებები არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ბიბლიოთეკა გაუქმდეს. - „პირიქით, ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელსაც ერთი წუთითაც არ დაუშვია ის, რომ რომელიმე ბიბლიოთეკა გაუქმდეს სოფლად თუ ქალაქად. უბრალოდ ყოველწლიური პროცესია, რომ იანვარში ყველა თანამშრომელი წერს განცხადებას და ფორმდება თანამშრომლებთან ახალი ხელშეკრულებები. რამდენიმე საკადრო ცვლილება მართლაც მოსალოდნელია, რომ განხორციელდეს. კერძოდ ეს შესაძლოა შეეხოს სოფელ სამთაწყაროს,ზემო ქედის, მირზაანისა და ზემო მაჩხაანის ბიბლიოთეკებს. ეს ჩვეულებრივი პროცესია, დანარჩენი ბიბლიოთეკარები დაკავებულ პოსტზე ძველებურად განაგრძობენ მუშაობას."-აღნიშნა ჩვენთან საუბარში მანანა მაჭარაშვილმა. ასე რომ, ბიბლიოთეკები ჩვეული პროცესით და ახლებური შემართებით განაგრძობენ სამუშაო პროცესს, რასაც ახალი ხელმძღვანელობის ხელშეწყობით კიდევ უამრავი სიხლე და სიურპრიზებიც დაერთვება თან.

ლალი მეხრიშვილი

სოფლებს ახალი რწმუნებულები ჰყავს

სოფელი ზემო მაჩხაანი:
ნოდარ ტოკლიკიშვილი:

დაიბადა 1968 წლის 14 ოქტომბერს დედოფლისწყაროში.დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი. ეწეოდა ფერმერულ საქმიანობას.ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

სოფელი მირზანი
აკაკი თარაშვილი:

დაიბადა დედოფლისწყაროში 1961 წლის 14 ნოემბერს. დაამთავრა რუსთავის პროფესიული სასწავლებელი ფოტოხელოვნების სპეციალობით. მუშაობდა შ.ს.ს მუზეუმთა და ძეგლთა დაცვის პოლიციაში დაცვის თანამშრომლად. ჰყავს ორი შვილი.

სოფელი ოზაანი
გელა ოზაშვილი:

დაიბადა 1962 წლის 7 ივლისს ქ.დედოფლისწყაროში.დაამთავრა ქ.თბილისის N97 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი ელექტრომემონტაჟის სპეციალობით.მუშაობდა დაცვის პოლიციაში სასაზღვრო სამსახურის საგუშაგოს უფროსის თანამდებობაზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სოფელი გამარჯვება
გიორგი ჭინჭარაული:

დაიბადა დედოფლისწყაროში 1962 წლის 4 დეკემბერს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ეროვნული ტექნოლოგიურ–სოციალური უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მუშაობდა დაცვის სამსახურ "ალფა"–ს ოპერატიულ ჯგუფში.

სოფელი არბოშიკი
მამუკა კოჭლამაზაშვილი:

დაიბადა 1975 წლის 29 მარტს სოფელ არბოშიკში. დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა ქ. თბილისის პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე.

სხვადასხვა წლებში დაკავებული იყო მცირე ბიზნესით. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.



სოფელი ხორნაბუჯი
ტარიელ ღარიბაშვილი:

დაიბადა დედოფლისწყაროში 1951 წლის 10 ოქტომბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით: საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია. მუშაობდა დედოფლისწყაროს რაიონულ კოოპერატივში სხვადასხვა თანამდებობაზე, დედოფლისწყაროს პრეფექტურაში კომერციულ საქმეთა განყოფილების გამგედ, დედოფლისწყაროს საკრებულოს კომერციულ საქმეთა განყოფილების გამგედ, სახელმწიფო დაზღვევის დედოფლისწყაროს ფილიალის დირექტორად, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსად, სოფელ ხორნაბუჯის რწმუნებულად. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ქალაქი დედოფლისწყარო
ბესიკ ცისკარაული:

დაიბადა 1962 წლის 6 მარტს ქ.დედოფლისწყაროში. დაამთავრა თბილისის N 108 სამშენებლო ტექნიკუმი და სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო–საინჟინრო ფაკულტეტზე. მუშაობდა ქ.თბილის სამშენებლო ტრესტის N.34 სამმართველოში სამუშაოს მწარმოებლად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სოფელი ზემო ქედი
ბეჭან სუხაშვილი:

დაიბადა 1968 წლის 6 ნოემბერს დედოფლისწყაროში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკულტურის ტექნიკუმი ფიზიკური კულტურის მასწავლებელისა და მწვრთნელის კვალიფიკაციით. მუშაობდა ზემო ქედის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად, ამავე სოფლის ძიუდოს გუნდის მწვრთნელად. ზემო ქედის რწმუნებულად. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

სოფელი ქვემო ქედი:
ლუხუმ ნაკვეთაური:

დაიბადა 1975 წლის 18 ნოემბერს დედოფლისწყაროში. დაამთავრა თბილისის კერძო ინსტიტუტ ,,აჭარის "ეკონომიკის ფაკულტეტი, გერმანიის ქალაქ კილის სახალხო უმაღლესი სკოლა.დაკავებული იყო მცირე ბიზნესით. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.



სოფელი არხილოსკალო
მარინა წიკლაური:

დაიბადა 1962 წლის 11 მაისს სოფელარხილოსკალოში. დაამთავრა თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია–ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა არხილოსკალოს საშუალო სკოლასა და თბილისის სკოლა–ლიცეუმ ,,სანთელ"–ში ისტორიის მასწავლებლად, არხილოსკალოს ბაგა–ბაღში ორგანიზატორად და ბავშვთა სახლების პედაგოგ–კონსულტანტად. ჰყავს მეუღლე და 6 შვილი.

სოფელი სამრეკლო ლელა ზვიადაური:

დაიბადა 1969 წლის 27 თებერვალს ქ.თბილისში. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ამწეების სამმართველოს მთავარი ეკონომისტის, ცეკავშირის გარდაბნის რაიკავშირის თავმჯდომარის, პურის ქარხნის ბუღალტრისა და საქმის მწარმოებლის თანამდებობებზე.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.



სოფელი ფიროსმანი
თემურ მურვანიძე:

დაიბადა 1967 წლის 12 ივნისს შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.მუშაობდა ბათუმის N5 სამშენებლო ტრესტში მუშად.1992 წლიდან თემურ მურვანიძე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში ცხოვრობს.ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ნოსტალგია არ იკურნება!...

„გასოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, არამედ ფესვებიდან, შენი ფესვები იქ არის"... მისი ფესვები დედოფლისწყაროშია. ძირითადად თბილისში გაიზარდა, იქ დაამთავრა სკოლა, უმაღლესები, შრომით საქმიანობასაც დედაქალაქში ეწევა, მაგრამ მიაჩნია და ეამაყება, რომ ქიზიყელია, რომ შოველი ქადაგიძის და ცისანა მჭედლიშვილის უფროსი შვილის, გია ქადაგიძის ვაჟის ფესვები აქ არის, დედოფლისწყაროში, სადაც ის ბავშვობის ყველაზე ძვირფას დროს - არდადეგებს ატარებდა მუდამ, ჰყავს ახლობლები, მეგობრები, გულშემატკივრები სწორედ რუბრიკით "ფესვები" 2007 წლის 31 მარტს გაზეთ "შირაქში" გამოქვეყნდა სტატია ზურა ქადაგიძის წარმატებების შესახებ. მაშინ ზურამ რეალით შოუში "ამტანი", სამთვიანი დაძაბული მარათონის შემდეგ დამსახურებულად გაიმარჯვა, "სუპერამტანის" ტიტული დაიმსახურა და 40 000 ლარი მოიგო. მაშინ ზურა მხოლოდ 19 წლის გახლდათ და მრავალმხრივ წარმატებულიც: სწავლობდა სამედიცინო აკადემიაში, წერდა მითოლოგიურ-ფილოსოფიურ ლექსებს, გამოცემული ჰქონდა ლექსების ორი კრებული, თამაშობდა ვაკის სარდაფის თეატრში ლაშა თაბუკაშვილის გახმაურებულ სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია".. მას მერე 5-6 წელმა გაიარა. მისი ცხოვრება სულ ძიებაა, სიახლის აღქმის და კეთების სურვილი. მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, უსაზრვდოდ უყვარს თავისი ქვეყანა, ამაყობს მისი წარსულით, იბრძვის უკეთესი აწმყოსთვის და ოცნებობს მომავლზე. მიუხედავად მრავალმხრივი განათლებისა, თვლის, რომ მსახიობია (ნიჭიერებასთან ერთად მას ღმეთმა მშვენიერი თვალ-ტანადობაც უბოძა), ახლა რეჟისურითაა გატაცებული, რეჟისორ მიშა კობახიძესთან მასტერკლასს გადის, სამსახურით კი სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში კორდინატორად მუშაობს. მისთვის ახალ-ახალი იდეები უცხო არ არის. მათ შორის ერთ-ერთი დედოფლისწყაროს უკავშირდება. მან გადაწყვიტა, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის ფართო ეკრანზე გამართოს ხოლმე კინოჩვენება. რეპერტუარში ქართული ფილმებია, ფილმები, რომელთა თემატიკა პატრიოტულია. მისი მიზანია, ბავშვებმა ნახონ ისეთი ფილმები, რომელშიც ქართველი ადამიანის ხასიათი, გამორჩეული ნიშან-თვისება, ერის ისტორია იქნება წინა პლანზე წამოწეული და ამით მათში აამაღლოს სამშობლოს სიყვარული.

- საქართველოს ტერიტორიაზე მცოვრებ ყველა ადამიანს, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა, უნდა უყვარდეს ის ქართული მიწა, რომელზეც დაიბადა, ის ერი, რომლის გვერდზეც გაიზარდა. სწორედ ამიტომ შევარჩიე ხორნაბუჯის საჯარო სკოლა, სადაც ქართველების გვერდზე სახვადასხვა ერის ბავშვი სწავლობს, - ამბობს ზურა.

თითქოს სიმბოლურად დაემთხვა, რომ პირველი სურათი, რომლის ჩვენებაც 22 იანვარს ამ სკოლაში შედგა, სწორედ რეჟისორ მგელაძის გახმაურებული ფილმი „ფესვები"

გახლდათ. ზურას ნოსტალგია დედოფლისწყაროსა და დედოფლისწყაროელების მიმართ იმ დიდი ცეცხლის ერთი ნაპერწკალია, რომელიც ყოველი ქართველი კაცის გულში მუდამ ჩაუქრობლად ანთია და ვერაფერი აქრობს-ვერც ქონება, ვერც საზოგადოებრივი მდგომარეობა, ვერც აუცილებლობა. არ არის დედამინის ზურგზე ქართველი, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს (ავად თუ კარგად) და მას სამშობლოს ნოსტალგია არ სტანჯავს, რომელსაც არ ჰგონია, რომ ყოველ მეორე დღეს მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნდება. სწორედ ამიტომაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქართული დიასპორა არ არსებობს, იქ ყველა დროებითი მაცხოვრებელია. სწორედ ეს თემაა გავრცობილი ამ ფილმში, რომელშიც გურული გიორგი ზაქარეიშვილის ტრაგიკული იტორიაა მოთხრობილი, კაცისა, რომელიც 19 წლის ასაკში გემზე სამუშაოდ მოწყობილი ბედმა და ცხოვრების უკუღმართობამ სად არ ატარა, 60 წელი პარიზში ღიმილდანატრებული აცხოვრა და ნოსტალგიის უკურნებელი სენით შეპყრობილი, ანდერძის თანახმად, საქართველოს მიწაში ჩაიფერფლა. ეს უაღრესად მძაფრსიუჟეტიანი ფილმი ბევრ ჩვენგანს რამდენიმეგზის გვინახავს, მაგრამ იმ დღით, იმ პატარა „დარბაზში", სადაც მოსწავლეები თვალზეცრემლმომდგარნი, სულგანაბულნი უყურებდნენ ფილმს, ბევრი იყო ისეთი, ვისაც არ ენახა არც ეს ფილმი და არც ზოგადად „დიდი ეკრანი". ჩვენდასამწუხაროდ, დღევანდელი ცხოვრება არ იძლევა საშუალებას, მოზარდებმა სრულფასოვანი განათლება მიიღონ არამარტო სკოლაში, არამედ სკოლის გარეშეც.

ფილმის ჩვენების დაწყებამდე ზურა ქადაგიძე დამსწრეთ ფილმის შესახებ ესაუბრა, გააცნო მათ რეჟისორი, სცენარის თუ მუსიკის ავტორები, მსახიობები, რომლებიც უზადოდ ასრულებენ თავის როლს.

- ეს დიდი ქართველი მსახიობის დოდო აბაშიძის ბოლო როლია, დამწყები მსახიობის ია ფარულავასთვის კი - პირველი როლი, გიორგი ზაქარეიშვილის შვილიშვილის უმცროსი გიორგის როლის შემსრულებელი ლევან აბაშიძე რამდენიმე წლის შემდეგ აფხაზეთის ომში დაიღუპა, ფილმი რამდენჯერმე იყო წარდგენილი საერთაშორისო კინოფესტივალებზე სხვადასხვა ნომინაციაში, - განუმარტა მათ იდეის ავტორმა და სთხოვა, ფილმის ჩვენების შემდეგ გამოეთქვათ თავისი აზრი, შთაბეჭდილება, ესაუბრათ იმაზე, თუ რა მისცათ მათ ამ ფილმმა.

ჩვენების დამთავრების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

- მე ეს ფილმი არ მქონდა ნანახი, ძალიან იმოქმედა ჩემზე ფილმის ფინალმა, როცა პაპის ფერფლი საქართველოში დასაკრძალად მოაქვს შვილიშვილს და ეეჭვება, რომ ვინმეს 60 წლის წინ წასული პაპამისი ისევ ემახსოვრება და მატარებლის ბაქანზე, უამინდობის მიუხედავად, მას მთელი სოფელი ხვდება. საერთოდ, ფილმი იმ მიწა-წყლის სიყვარულს გვასწავლის, სადაც ვცხოვრობთ, ამიტომ მე ძალიან მომეწონა, - თქვა თავის გამოსვლაში არაქართული სექტორის მე-9 კლასის მოსწავლემ ვართუი ზოროღლიანმა.

- გიორგი ზაქარეიშვილი ტიპიური ქართველია, მის პერსონაჟში თავმოყრილია უამრავი ქართული თვისება. მაშინ, როცა მას პურის ფულიც კი არ აქვს, თავს არ იმცირებს, როცა ფულისგან გაბრიყვებული ვილაც ბობოლა 100 დოლარს სთავაზობს და ზურგით გასეირნებას სთხოვს, არც ქართული ზრდილობა სტოვებს და მკაცრად, მაგრამ არა უხეშად პასუხობს: - თქვენ მისამართი შეგეშალათ, ბატონო! ამასთან, ფილმი არა მარტო გასული საუკუნის დასაწყისის ამბავს გვიყვება, არამედ თანამედროევობასაც ეხმიანება: დღესაც ხომ ბევრი ქართველი ლუკმა-პურის საშოვნელად და ახლობლების გამოსაკვებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული და ნოსტალგიით იტანჯება,- თქვა ანჟელა გურეგიანმა.

მეხუთეკლასელ ილიკო ხარაზიშვილს კი ის მოეწონა, გიორგი პაპამ ქართული რომ არ დაივიწყა და თავის შვილიშვილს ქართული სიმღერები და ლექსები ასწავლა.

პედადოგი დარია აფციაური, რომელიც წარმოშობით ყაზახია, უაღრესად კმაყოფილი დარჩა ფილმით და აღნიშნა , რომ ქართული მიწა სასწაულია, ერთხელ თუ დააბიჯე მასზე, ერთხელ თუ იგრძენი მისი სურნელი, ვეღარ მოსცილდები. მე მინდა, ჩემი ქალიშვილი სასწავლებლად საზღვარგარეთ წავიდეს, მას კი აქედან წასვლა არ შეუძლია, ვერ წყდება მშობლიურ მხარესო.

სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა მადლობა გადაუხადა ზურა ქადაგიძეს საინტერესო იდეისთვის და მის განსახორციელებლად ამ სკოლის შერჩევისთვის.

- ეს მშვენიერი ჩანაფიქრია, პატრიოტული სულით გაჯერებული, რომელიც ასე სჭირდება დღეს ჩვენს ახალგაზრდობას გლობალიზაციის მრავალმხრივი შემოტევის ფონზე, ეს ხომ ჩვენი წარსული და აწმყოა. როგორ შეიძლება არ შეგძრას ფილმის პერსონაჟის სამსონ ჯანდიერის სიტყვებმა: ჩვენ ფესვებიდან მოგლეჯილი ხეები ვართო და არ გაგახსენდეს დავით გურამიშვილი, რომელსაც მასავით ქართული მიწა უკრაინაში სულ თან დაჰქონდა. მადლობა ზურას და ვისურვებდი, ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდესო, - თქვა მან.

- ჩემს პირად საცავში ხუთასამდე კინოფილმის ჩანაწერი მაქვს, შევთანხმდეთ, რა ფილმების ნახვა გსურთ და მე კვლავაც სიამოვნებით გეწვევითო, შეპირდა მათ ზურა ქადაგიძე. იმსჯელეს და გაიხსენეს მრავალი საინტერესო ფილმი: დავით გურამიშვილი, ოთარაანთ ქვრივი, მეფე დიმიტრი თავდადებული, გიორგი სააკაძე, მამლუქი, ღიმილის ბიჭები და სხვა, რომელსაც ბავშვები ინტერესით ნახავენ.

- კინოჩვენებას ესწრებოდნენ ზურას მამა გია ქადაგიძე, რომელიც ამ სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულია და ზურას და ანა ქადაგიძე, რომელიც ამ სკოლის მე-9 კლასის ექსტერნი მოსწავლეა. ის წარმატებული სპორტსმენი ჩოგბურთელია. მისი სპორტული კარიერის შესახებ ვეცდებით მომდევო ნომერში მოგითხროთ. ღონიძიების დასასრულს ზურა ქადაგიძემ მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს რესურსცენტრის ხელმძღვანელს მიხა ბახუტაშვილს და კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ნინო ბახუტაშვილს დახმარებისა და თანდგომისათვის.

- მართალია, პროექტს მე ჩემი ფინანსებით და საკუთარი ინიციატივით ვუძღვები, მაინც მათი დახმარება და ხელის შეწყობა ძალიან მჭირდებოდა, მადლობა მათ, - თქვა ზურა ქადაგიძემ და მომავალი შეხვედრის იმედით დაემშვიდობა მასპინძლებს.

ნაირა გორაშვილი

> „გასოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, არამედ ფესვებიდან, შენი ფესვები იქ არის, საქართველოში..."

ინგლისური ენის კონკურსში დედოფლისწყაროდან 2 მოსწავლე გავა

34 რეგიონალურ დონეზე გამარჯვებული მოსწავლე, მიმდინარე წლის 30 მარტს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, ერთმანეთს მეტოქეობას გაუწევს ინგლისური ენის მართლწერის ეროვნული კონკურსის ჩემპიონის წოდებისთვის. კონკურსი ამერიკის საელჩოს პატრონაჟით ტარდება. გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, რეგიონალური ტურის გამარჯვებულ მოსწავლეებს შორის დედოფლისწყაროს №1 და სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლების მოსწავლეებიც არიან.

როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს" აცნობეს, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების, რიკო კრედიტის, ვორლდ ვიჟენის, ETI-ს, ბრიტანეთის საბჭოს საქართველოში, ამერიკული მეგობრობის კლუბისა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით და სპონსორობით, შესაძლებელი გახდა მართლწერის კონკურსის ჩატარება და ფინალისტებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვა.

კონკურსები იმართებოდა მერვე-მეცხრე და მეათე-მეთორმეტე კლასებს შორის. დაბალი კლასის მოსწავლეები დედოფლისწყაროდან არ გასულან, ორივე გამარჯვებული მაღალი კლასის მოსწავლეა.

ამ წლის რეგიონალური ტურის გამარჯვებული დედოფლისწყაროელი მოსწავლეები არიან: 10-12 კლასი: რუსუდან ქისტაური (სოფელი სამრეკლო) და მარიამ სამადაშვილი, (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა)

გასული წლის 2-დან 9 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით ათასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ინგლისური ენის მართლწერის ეროვნულ კონკურსში რეგიონალურ დონეზე იმ იმედით, რომ ისინი მონაწილეობას გააგრძელებდნენ თბილისში დასკვნით ეტაპზე. რეგიონალურ დონეზე შეჯიბრი გამოირჩეოდა იმით, რომ მოხერხდა სხვადასხვა სკოლებისა და მოსწავლეების ერთად შეკრება და საგანმანათლებლო და ამასთანავე სახალისო ღონისძიებაში ჩართვა.

მონაწილეები კლასების მიხედვით ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი; პირველი — მე-8 და მე-9 კლასები, ხოლო მეორე - მე-10, მე-11 და მე-12 კლასები. თავდაპირველად მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ, დაეწერათ 30 სიტყვა ინგლისურ ენაზე, რის შედეგადაც მოსწავლეები უმაღლესი ქულებით რეგიონალური კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდნენ. მეორე ეტაპზე მოსწავლეები ერთმანეთს წყვილებში შეეჯიბრნენ. თითოეული წყვილიდან გამარჯვებული იყო მოსწავლე, რომელიც პირველი სწორად დამარცვლავდა მოცემულ სიტყვას. მონაწილეებს ჰქონდათ ორი შეცდომის დაშვების უფლება კონკურსიდან გამოთიშვამდე.

რთულ სიტყვებს, როგორიცაა "inauspicious" და "correspondence," მოსწავლეებმა, რომლებმაც ისწავლეს და მოემზადნენ კონკურსისთვის, კარგად გაართვეს თავი. 34 რეგიონალურ დონეზე გამარჯვებული მოსწავლე, 2013 წლის 30 მარტს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, ერთმანეთს მეტოქეობას გაუწევს ინგლისური ენის მართლწერის ეროვნული კონკურსის ჩემპიონის წოდებისთვის. თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების, რიკო კრედიტის, ვორლდ ვიჟენის, ETI-ს, ბრიტანეთის საბჭოს საქართველოში, ამერიკული მეგობრობის კლუბისა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით და სპონსორობით, შესაძლებელი გახდა მართლწერის კონკურსის ჩატარება და ფინალისტებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვა.

„პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებას ერთ წელზე მეტი დასჭირდა. კონკურსი ვერ განხორციელდებოდა, რომ არა მოხალისეების თავდაუზოგავი შრომა და თავდადება იმისათვის, რომ კონკურსი წარმატებული ყოფილიყო."- განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა შენონ კნუდსენმა, კონკურსის წარმატებით განხორციელებასა და ახლანდელ მიღწევებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო მასშტაბის კონკურსი 30 მარტს თბილისში გაიმართება.

ილია მარტყოფლიშვილი

მათ მაგალითზე ახალი თაობები უნდა გაიზარდოს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ვეტერანი სპორტსმენები შეიკრიბნენ და წარსულში სახელოვანი სპორტსმენებისა და პედაგოგების ვლადიმერ (ვალიკო-ვაშტია) ბეროშვილისა და დიმიტრი გონაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონული შეჯიბრება გამართეს.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა **ელგუჯა თეთვაძემ** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შეჯიბრების ძირითადი მიზანი იყო დედოფლისწყაროს სახელოვანი სპორტსმენების და პედაგოგების სახელის უკვდავყოფა, მათი ღვაწლის დაფასება და მოსახლეობაში სპორტის პოპულარიზაცია.

ღონისძიებას სპორტული სამყაროს წარმომადგენლებთან ერთად ასევე ესწრებოდნენ ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი ანზორ მარტყოფლიშვილი, დედოფლისწყაროს ექს-მაჟორიტარი დეპუტატი ლაერტ ზუბადალაშვილი და დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი. შეჯიბრებებში ასევე მონაწილეობდა დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი.

შეჯიბრება გაიმართა ფრენბურთსა და კალათბურთში. ერთმანეთს გაეჯიბრნენ არბოშიკის, დედოფლისწყაროს, ზემო მაჩხაანის და ქედების ზონის ვეტერანი სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდები.

ანზორ მარტყოფლიშვილი: „გავიხსენეთ საყვარელი მასწავლებლები, რომლებმაც სპორტში ჩაგვრთეს, გამოგვზარდეს და ზოგადად ამ სფეროში დიდი საქმე გააკეთეს. ახალგაზრდობა აქტიურად იყო ჩაბმული და ეს მათი დამსახურება იყო. დიდი მადლობა ყველას, რომ ეს ღონისძიება ითავეს და კიდევ ერთხელ გავიხსენეთ და მათი ღვაწლი დავაფასეთ. ასეთი კარგი ღონისძიებები ხშირად უნდა იმართებოდეს. ახალგაზრობამ ეს ისტორია უნდა იცოდეს, რომ მეტად ჩაერთონ სპორტში. მიხარია, რომ დღესაც ესწრებიან ახალგაზრდები. ყოველთვის სიხარულით ჩამოვდივარ დედოფლისწყაროში, მშობლიურ კუთხეში ყოფნა ცხადია ძალიან მსიამოვნებს, მითუმეტეს თუ სპორტულ შეჯიბრებებს, ან ასეთ საინტერესო ღონისძიებებს ვესწრები. მოგეხსენებათ, არბოშიკი და მაჩხაანი მეზობელი სოფლებია. მეუღლე არბოშიკელი მყავს, მაგრამ გამიხარდა, რომ მაჩხაანმა მოუგო. არბოშიკსაც ვგულშემატკივრობ, მაგრამ მაჩხაანის გამარჯვება გამიხარდება.“



ელგუჯა თეთვაძე: „ეს პიროვნებები ჩვენი უფროსი მეგობრები და ძალიან საყვარელი ადამიანები იყვნენ. მიხარია, რომ მაქვს საშუალება, მათი სახელების უკვდავყოფისთვის ეს ღონისძიება ჩამეტარებინა, რადგან ყველამ იცოდეს, რომ რაიონში გვყავდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს. ეს დღე სტიმული იქნება იმისათვის, რომ ბევრმა მიბაძოს მათ და კარგი სახელისთვის იბრძოლონ. დღემ კარგად ჩაიარა, კმაყოფილი ვარ და შევნიშნე, რომ სხვებიც კმაყოფილები დარჩნენ, როგორც მაყურებლები, ისე მონაწილეები. სპორტის გულშემატკივრები და ჩემი მეგობრები როგორც ფიზიკურად, ისე ფინანსურად გვერდით დამიდგნენ, რომ ეს ღონისძიება ჩაგვეტარებინა. მსგავსი ღონისძიებები კიდევ გაგრძელდება. გვინდა, უახლოეს მომავალში ქედების ზონაშიც ჩავატაროთ, ამ სოფლებშიც ბევრი სახელოვანი პედაგოგი გვყავდა. ასეთ საღამოებს ჩვენ წლების მანძილზე ხშირად ვატარებდით. ჩემი კოლეგების უკვდავსაყოფად და პატივსაცემად იმართება ასეთი ღონისძიებები“.

ლაერტ ზუბადალაშვილი: „მნიშვნელოვანი დღეა იმიტომ, რომ საინტერესო ადამიანები გავიხსენეთ. დღესაც მახსოვს სოფელში გატარებული ჩემი ბავშვობა, ფინანსური პრობლემები ნაკლები იყო და ყველაფერს ხალისი ჰქონდა. ახლა რომ ვუყურებ, შედარებით ნაკლებად აქტიურობენ. ათასნაირი სპორტული წრეები ფუნქციონირებდა, ახალი თაობაც დაკავებული იყო და ქუჩაში აღარ დაეხეტებოდნენ. არ ვიცი, რისი ბრალია, თუმცა, ახლა თითქოს ინტერესი ნაკლები აქვთ. მისასალმებელია ის, რომ ამ ღონისძიებას ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და მათ ეს ყველაფერი ნახეს და მოისმინეს. ეს პედაგოგებიც გარდაცვლილები არიან, თუმცა მათ წლების მანძილზე გაწეული შრომა ამით კიდევ ერთხელ დაუფასდათ“.

დიმიტრი გონაშვილი 1922 წლის 4 ივნისს დაიბადა სოფელ მირზაანში. 1941 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ მეორე სამამულო ომში გაიწვიეს. 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. 1951 წელს სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. 1953 წელს ამავე სკოლაში მუშაობა დაიწყო თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა, ინგლისური ენის პედაგოგმა ნინო კარაპეტოვამ. მათ ერთმანეთი გაიცნეს და ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს. სამი ქალიშვილი შეეძინათ. ზემო მაჩხაანის სკოლაში დიმიტრი გონაშვილი 45 წლის განმავლობაში მუშაობდა.

ნელნა ჩუბინიძე (პედაგოგი): „დიმიტრი მასწავლებელი მაჩხაანის სკოლიდან 74 წლის ასაკში ღირსეულად გავაცილეთ პენსიაზე. მისი მუშაობის მანძილზე, გაკვეთილზე სპორტული ტანსაცმლის გარეშე არასოდეს შესულა, რაც ყველა კოლეგისთვის მისაბაძი უნდა იყოს. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მის გაკვეთილზე, არასოდეს დაავიწყდება ლეგენდად ქცეული სპორტის კაცი. მისი პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულზე და თავდადებაზე მეტყველებს უამრავი დიპლომი, სიგელი და სამკერდე ნიშნები. ყველაზე დიდი ჯილდო კი დამსახურებული პედაგოგის წოდება, რომელიც 1985 წლის 30 მაისს მიენიჭა მოსწავლეების ფიზიკური აღზრდისთვის და გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშობისთვის. მის ამ ჯილდოებს ემატება ომის ვეტერანის მედლები და სიგელები. მიტო მასწავლებელი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა მომავალი თაობებისთვის. ჩემი ინიციატივით მისი სახელობის ტურნირი ტარდებოდა კალათბურთში, სოფელ ზემო მაჩხაანის უბნებს შორის. ამ ადამიანმა ჩემი ცხოვრების წესად მიქცია სპორტისადმი სიყვარული. ამიტომაც, სკოლის დირექტორობის პერიოდშიც სპორტული დარბაზის ხშირი სტუმარი ვიყავი, ვთამაშობდი კალათბურთს გოგონებთან, ვაჟებთან და გული მწყდებოდა, რომ ახალ თაობებში ვერ ვხედავდი იმ სიყვარულს სპორტისადმი, რომლითაც ჩვენ გვზრდიდნენ. უნდა ითქვას, რომ დიმიტრი გონაშვილის აღზრდილები სპორტის ყველა სახეობებში წარმატებებს აღწევდნენ. ის ყველა სახეობას ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, მაგრამ მაინც ვამჩნევდით, რომ მძლეოსნობა უფრო უყვარდა. მან გაზარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში დომენტი ყოჩიაშვილი. მისი მოსწავლეები შეჯიბრებებიდან გამარჯვებულები რომ ვბრუნდებოდით, ჩვენზე მეტად მას უხაროდა და ამას ღიად გამოხატავდა. საოცარი იყო ისიც, რომ წლების მიხედვით დეტალურად ახსოვდა, როდის და რამდენი ქულა შევძინეთ გუნდს. მასზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის მის მიერ აღზრდილი ყველა ადამიანისთვის მუდამ ლეგენდარულ მასწავლებლად დარჩება. ის უკვდავი იქნება მანამ, სანამ ჩვენს სოფლებში მის მიერ გამოზრდილი ერთი ადამიანი მაინც იცოცხლებს. ამიტომ, არ შემიძლია ძალიან დიდი მადლობა არ გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორს, ბატონ ელგუჯა თეთვაძეს, რომ მოგვეცა საშუალება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ ლეგენდარულ ადამიანებს, რომლებიც მართლაც სამაგალითონი იყვნენ მომავალი თაობებისთვის“.

ღონისძიების დასრულების შემდეგ შეჯიბრებების მონაწილეებს ორგანიზატორებმა ფასიანი საჩუქრები გადასცეს. მოგონებებითა და სითბოთი განმსჭვალული საღამო ტრადიციული ქართული სუფრით დასრულდა, სადაც რამდენჯერმე შეისვა ღვაწლმოსილი პედაგოგების ხსოვნის სადღეგრძელო.

ილია მარტყოფლიშვილი

კონკურსი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის პოზიციაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელის თანამდებობებზე კონკურსს აცხადებს.კონკურსი ცხადდება ძველი თბილისის ხუთ და ასევე საქართველოს 43 მუნიციპალიტეტში. მათ შორის დედოფლისწყაროშიც.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას მიხეილ ბახუტაშვილიც გეგმავს. ამჟამად ის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელია. ის წლების მანძილზე ამ სფეროში მოღვაწეობს.

„კი, ნამდვილად ვაპირებ მეც მივიღო კონკურსში მონაწილეობა... სხვა რა გზა მაქვს! თუმცა გამოცდები, მაინცდამაინც, არც მაშინებს! შარშან დირექტორების კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა და 70 გამსვლელიდან 76 ქულა მივიღე,“ - განუცხადა „შირაქს“ მიხეილ ბახუტაშვილმა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობებზე კონკურსი 18 იანვარს გამოცხადდა.

კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე მოხდება განაცხადების გადარჩევა, შემდეგ ტესტირება, შემდეგ კი გასაუბრება.

კონკურსში მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა იმ მოქალაქისთვის, რომელიც “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი ვებ-გვერდზე WWW.HR.GOV.GE მიმდინარე წლის 18 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით უნდა გააკეთონ.

დედოფლისწყაროს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ჯამალაშვილი გასული წლის ნოემბერში გაათავისუფლეს. ის ამ თანამდებობაზე ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა.

ლევან ჯამალაშვილი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

ჯამალაშვილის გათავისუფლების შემდეგ ხელმძღვანელის მოვალეობას ამჟამად მიხეილ ბახუტაშვილი ასრულებს.

რესურსცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობები ვაკანტურია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, ფოთის, წალენჯიხის, მესტიის, ამბროლაურის, ცაგერის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ახალციხის, ნინოწმინდის, რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ქუთაისის, ტყიბულის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღის, ბათუმის, ხულოს, ხელვაჩაურისა და შუახევის რაიონებში.

ილია მარტყოფლიშვილი

ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი

მონასტრის ისტორია

ბოდბის მონასტერს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ აქ განისვენებს ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმიდა ნინო. დაბა „ბოდბისი“ უფალმა ჯერ კიდევ წმიდა ნინოს სიცოცხლეში განადიდა, როგორც მისი სათნომყოფელის მომავალი განსასვენებელი. და იმ დროიდან მოყოლებული წმიდა ნინოს საფლავი მადლისა და კურნების ცხოველ წყაროდ იქცა ქართველი ერისათვის.

14 წლის იყო წმიდა ნინო, როცა ღვთისმშობლის ბრძანებით მისი წილხვედრი ქვეყნისკენ გამოემართა. აქ მან მრავალი ცრემლით, ლოცვითა და მკაცრი მოღვაწეობით სრულყო თავისი მოციქულებრივი ღვაწლი და წარმართობის ნისლით დაფარული ერი ჭეშმარიტების ნათელს აზიარა.

წმინდა ნინოს დროიდან მოკიდებული ბოდბის მონასტერი ქართველ მეფეთა და დიდებულთა უპირველესი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა.

V ს. ვახტანგ გორგასალმა გაამშვენა და გააფართოვა ტაძარი, ხოლო სამნავიანი ბაზილიკის სახე მან VIII-IX ს.ს. მიიღო.

XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე I-ის მეფობის ხანაში, კიდევ ერთხელ შეიმკო წმიდა ნინოს განსასვენებლი.

მოციქულთა სწორის საფლავი იმდენად პატივცემული იყო, რომ მონღოლებმა, რომლებმაც მიწასთან გაასწორეთ მთელი ქვეყანა, დაუნგრეველ-აუოხრებელი დატოვეს მხოლოდ ბოდბის ტაძარი, თუმცა ისიც არა უვნებლად.

შუა საუკუნეებში ამ ტაძარში იკურთხებოდნენ კახთა მეფეები. სხვათა შორის, ბოდბის ტაძარში თეიმურაზ I-ის აღსაყდრებას თავად შაჰ-აბასიც კი დასწრებია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რამდენიმე წლის შემდეგ იავარეყო მონასტერი, რომლის აღდგენასაც შემდგომ დიდი ღვაწლი თავად მეფე თეიმურაზ I-მა დასდო.

იოანე ბოდბელი. ფრესკა (1823 წ.)

ბოდბის მონასტერი ოდითგანვე არა მარტო სულიერ, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. XVII საუკუნიდან აქ მოქმედებდა სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, საერო მეცნიერებებიც ისწავლებოდა. აქვე იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნთსაცავი. XVIII საუკუნის II ნახევრიდან ბოდბეში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მამათა მონასტერი არსებობდა.

ეგზარქოსების მიერ ბოდბის ეპარქიის გაუქმებამდე მისი უკანასკნელი მღვდელმთავარი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იოანე მაყაშვილი იყო. იოანე ბოლნელის ღვაწლით 1823 წელს კიდევ ერთხელ შეიმკო და გამშვენდა სავანე, მოიხატა ტაძარი, გაკეთდა ახალი კანკელი (მხატვრობაცა და კანკელიც დღემდეა შემორჩენილი), აშენდა საეპისკოპოსო სასახლე კარის ეკლესიითურთ. იოანე მაყაშვილის გარდაცვალებასთან (1837 წ.) ერთად ბოდბის ეპარქიაც გაუქმდა და მონასტერიცა და სემინარიაც მოიშალა. ამ დროიდან ბოდბეს არქიმანდრიტები განაგებდნენ. მათ შორის გამორჩეული ადგილი არქიმანდრიტ მაკარის ეკავა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული გალობის აღორძინებას აქცევდა. მას ამ საქმისთვის საგანგებოდ მოუწვევია მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი და გალობის სკოლა გაუმართავს. თუ როგორი იყო ეს სკოლა, ამაზე ნათლად მეტყველებს დიმიტრი ყიფიანის წერილი, არქიმანდრიტ მაკარისადმი მიწერილი: „სული ჩემი დასტკბა, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური, თქვენის ზრუნვითა და მეცადინეობით განახლებული“. მისივე დროს, 1862 წელს, დაიწყო სამსართულიანი სამრეკლოს მშენებლობა, რომელიც 1885 წელს მღვდელმონაზონ ნიკოლოზ მიქელაძის წინამძღვრობისას დასრულდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ეგზარქოსების მიერ დაუმსახურებლად მივიწყებულ და უპატრონოდ დარჩენილ სავანეს დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ჰაგიოგრაფმა და ხატმწერმა მიხეილ საბინინმა. მან წმიდა ნინოს საფლავის ძველი ქვა მარმარილოს ლუსკუმით შეცვალა. მისივე დაუღალავი მოღვაწეობით შემზადდა ნიადაგი აქ დედათა მონასტრის გახსნისათვის.

იმავე საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია ამ ადგილს და მისი ბრძანებით 1889 წელს ბოდბეში დედათა მონასტერი გაიხსნა, აქვე მოქმედებდა ქალთა სასწავლებელი. 1902-1906 წლებში მონასტრის წინამძღვარი იუვენალია II იყო (ერობაში თამარ მარჯანიშვილი, დიდ სქემაში თამარი, კოტე მარჯანიშვილის და; მისი წმიდანად შერაცხვის საკითხი ამჟამად განიხილება რუსეთის ეკლესიის მიერ). საქართველოს ეკლესიისათვის ამ ურთულეს პერიოდში, როდესაც მთელი ძალით მიმდინარეობდა გარუსების პოლიტიკა, თამარ მარჯანიშვილის ძალისხმევით ბოდბის ქალთა სასწავლებელში ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა პირველიდან დამამთავრებელ კლასამდე. მისივე დამსახურებით ბოდბის ტაძარში მისი წინამძღვრობისას წირვა-ლოცვაცა და გალობაც, რომელაც იღუმენია იუვენალია თავად ასწავლიდა გოგონებს სასწავლებელში, ქართულად მიმდინარეობდა.

1906 წ. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის განკარგულებით ბოდბეს I კლასის მონასტრის წოდება მიენიჭა.

თუ როგორი იყო ბოდბის მონასტერი XX საუკუნის დასაწყისში, ცოცხალ წარმოდგენას გვიქმნის ოლივერ უორდროპის ერთი წერილი. იგი 1919 წელს სტუმრობდა მონასტერს და აღტაცებული წერდა ამ ვიზიტის შესახებ თავის მეუღლეს: „როცა მონასტერის მივუახლოვდით, ჩვენს წინ აღიმართა ფოთლებითა და მცენარეებით შემკული ტრიუმფალური თაღი. ჩვენ მიგვიღო იღუმენიამ (თავადის ქალმა ვაჩნაძემ). ყველანი შეკრებილიყვნენ მონასტრის გარშემო: მონაზვნები შავ მანტიებსა და ლამაზ თავსაბურავებში, მონასტრის სკოლის გოგონები თეთრ კაბებში გამოწყობილი და იქვე მცხოვრები ხალხი. მღვდელმა შემიპატიჟა ეკლესიაში, რომელიც პირველად IV საუკუნეში აშენებულა და ჩაატარა რამდენიმე წუთიანი მსახურება, ლოცულობდა და ევედრებოდა უფალს, ამ დროს კი მის გარშემო მყოფნი და მონაზვნები გალობდნენ.

იღუმენიამ დამათვალიერებინა გოგონათა საერთო საცხოვრებელი, საკლასო ოთახები, სამზარეულო და სამუშაო ოთახები, სადაც მზადდება ხალიჩები, საეკლესიო ტანსაცმელი, ხატები და ასევე საქარგავი ოთახი. ჩვენ ასევე მოვინახულეთ ბაღი, რომელიც ამშვენებს მონასტერს. გოგონებმა დაგვასაჩუქრეს ყვავილებით, ხალხმა და ბავშვებმა კი გაგვაცილეს შეძახილებით, ჩვენც გავუყევით გზას სიღნაღისაკენ“ (საგულისხმოა, რომ ეს წერილი ბოდბის მონასტრის ამჟამინდელ წინამძღვარს იღუმენია თეოდორას ოლივერ უორდროპის ქალიშვილმა მიაწოდა. მას ქართველთა განმანათლებლის სახელი ჰქვია, ცხოვრობს ინგლისში და მამისა და მამიდის დარად ძალიან უყვარს საქართველო. ქალბატონ ნინოს ცხოველი ინტერესი აქვს თავისი მფარველი წმიდანის სავანის მიმართ, რაზეც მოწმობს მისი მიმოწერა ბოდბის დედებთან).

1924 წელს კომუნისტებმა მონასტერი დახურეს. ბოდბის უკანასკნელი იღუმენია ნინო ვაჩნაძე, მიუხედავად მრავალგზის მუქარისა, მონასტერს არ შორდებოდა, თუმცა საბოლოოდ იძულებული გახდა ბოდბე მიეტოვებინა და თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, დასახლებულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდეც. სამოციან წლებში ბოდბის უკანასკნელი წინამძღვარი, მისივე ანდერძისამებრ, მშობლიურ მონასტერში გადაასვენეს.

დეოდოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა თანაგრძნობას უცხადებს ნაირა კაისაძეს დეიდის

ლია გარსენიშვილი-კუტიბაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნათლისღება დედოფლისწყაროში ტრადიციულად აღინიშნა

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო წირვა დედოფლისწყაროს ეკლესია მონასტრებშიც შესრულდა. წირვის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში წყალი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ აკურთხა.

ამ დროს წყალში ჯვარს სამგზის შთაფლავენ და ჯვარს გამოსახავენ. შემდეგ კი მორწმუნეებს ნაკურთხი წყალი სახლში მიაქვთ.

რიტუალის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროში მდებარე წყაროების კურთხევა დეკანოზმა ნიკოლოზ ლომსაძემ შეასრულა.

„საკათედრო ტაძარში მეუფე კითხულობს სპეციალურ ლოცვას და შემდეგ ამ ჭურჭელში უშვებს ჯვარს. ეს ნიშნავს რომ წყალი კურთხეულია ჯვრის მადლით და ძალით. წირვა რომ მთავრდება შემდეგ გამობრძანდებიან წყლებზე და ერთი კვირა ნაკურთხია ნებისმიერი წყალი. სამეუფეო და მამაოს კურთხევას შორის განსხვავება ისაა, რომ მამაოს ნაკურთხი წყალი შეგვიძლია გავამრავლოთ, სამეუფეო კი არა. ეს წყალი შეგვიძლია დავამატოთ ნებისმიერ წყალს და სასმელად გამოვიყენოთ,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროელმა მრევლმა ირმა ბაიაშვილმა.

„შირაქის“ ინფორმაციით, სასულიერო პირებმა ტრადიციულად დედოფლისწყაროს ქუჩებიც მოიარეს და ადგილობრივები აკურთხეს.

წმინდა წერილის თანახმად, იოანე ნათლისმცემელი სინანულს ქადაგებდა და მდინარე იორდანეში ხალხს ნათლავდა. სხვებთან ერთად მასთან იესოც მივიდა. როდესაც იესო ქრისტე წყლიდან ამოდიოდა, გაიხსნა მის თავზე ცა და ღვთის სული მტრედის სახით გადმოვიდა მასზედ, ციდან კი მამა ღმერთის ხმა მოისმა: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც შევიტკბე მე“

უძველესი დროიდანვე ეს დღესასწაული განათლების დღედ და ნათელთა ზეიმად იწოდებოდა, რადგან ღმერთი არის ნათელი და იმისთვის მოვიდა იგი, რომ განანათლოს ერი, იმისთვის, რომ თავისი დიდი მოწყალებით იხსნას დაცემული მოდგმა ადამიანისა.

ხალხური ტრადიციის თანახმად, ნათლისღების დღეს მიღებულია ნათლულმა მოინახულოს ნათლია და პატივი სცეს მის სულიერ აღმზრდელს.

ილია მარტყოფლიშვილი

მონატრება

გიგა ლაპიაშვილი



გიგა, შვილო, 21 იანვარს 6 წელი შეგისრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ეს დღე ისეთი ტკივილიანია, საშველი არ მოიძებნება. ამაზე ფიქრიც კი ენით უთქმელი წამებაა. უშენოდ ყველაფერი ფერმკრთალია. ყოველდღე გელოდებით, რომ კარს შემოაღებ და ძველებურად სიხარულს შემოიტან, მაგრამ ლოდინი უსასრულო და უიმედოა.

შვილო, ჩვენს ოჯახში სიხარული და მხიარულება დაიკარგა. მონატრებით და მოგონებებით ვანთებთ სანთელს და მივუყვებით გზას, რომელიც საბოლოოდ შეგვახვედრებს ერთმანეთს. ძალ-ღონეს ვიკრებავ ამ ჩემს უკულმართ ბედს ვუმკლავდები, რადგან მინდა ჯერ შენ მოგაქციო ყურადღება. გპირდები, სანამ სული მიდგას, შენც ჩემთან ერთად იარსებებ. აქ კი შენს ძმას, რძალს და პატარა გიგას ვჭირდები, რომელიც შენს სახელს აგრძელებს. მხოლოდ სურათიდან გიცნობს, ისეთი კეთილი თვალებით გიყურებს, თითქოს რაღაცას ელაპარაკები. თითს იშვერს კედლისკენ და გაიძახის ძია, ძია. ამ ბავშვს, რომ მოსწრებოდი, რა ბედნიერი იქნებოდი. მე და მამაშენსაც ეს ბავშვი გვაცოცხლებს. გპირდები, როგორც შენ დაგავაჟკაცებდით და გზაზე დაგაყენებდით, ყველაფერს ვეცდებით, რომ ამ ბავშვს ავუთაოთ ის, რაც შენზე გვქონდა ჩაფიქრებული. ეს ბავშვი ჩვენს გულებში შენი გაგრძელებაა.

უშენოდ ცხოვრება ძალიან ძნელია. შემიბრალე და სიზმარში მაინც მოდი ჩემთან... ღმერთო, გთხოვ, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს შვილს და განუსვენე იქ, სადაც კეთილნი განისვენებენ.

შენი ოჯახი

ფალავნები კახეთის ჩემპიონატისთვის ემზადებიან

სპორტი

დედოფლისწყაროელი ფალავნები კახეთის ჩემპიონობისთვის იბძოლებენ. კახეთის თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით უფროსი თაობის ფალავანთა ნაკრებებს შორის რეგიონის პირველობა ჩატარდება.ჩემპიონატში მონაწილეობას ყვარლის,ახმეტის, საგარეჯოს, გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ნაკრებები მიიღებენ. გუნდური ასპარეზი შვიდ წონით კატეგორიაში გაიმართება,გამარჯვებულად ის გუნდი ჩაითვლება,რომელიც მინიმუმ ოთხ წონით კატეგორიაში მოიპოვებს პირველობას.

,,უფროსი ასაკის თავისუფალი მოჭიდავეები წლიდან წლამდე დარბაზებში ვარჯიშობენ,მაგრამ რადგან ჩემპიონატები არ იმართება, არ აქვთ პრაქტიკის საშუალება.ერთადერთი ასპარეზობა საქართველოს პირველობაა, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება.ძლიერი ფალავნები პრაქტიკის არქონის გამო საქართველოს პირველობაზე იძაბებიან და საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენენ. კახეთის ჩემპიონატის მიზანი ისაა,რომ სპორტსმენებმა მეტი გამოცდილება შეიძინონ.კარგი იქნება,თუ კახეთს სხვა რეგიონებიც მიბაძავენ. ქართველ მოჭიდავეებს სიძლიერე არასდროს აკლდათ,მაგრამ ეს მათი მომზადების დონეს კიდევ უფრო აამაღლებს.“ – აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ნაკრების მწვრთნელი დავით გონაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ნაკრებში შვიდი მოჭიდავეა.ყველა მათგანი ქალაქ დედოფლისწყაროდანაა. დავით გონაშვილი ამის მიზეზად მუნიციპალიტეტის სოფლებში თავისუფალი ჭიდაობის სექციების არარსებობას ასახელებს და იმედოვნებს,რომ მომავალ ჩემპიონატებამდე პრობლემა მოგვარდება.

კახეთის ჩემპიონატი ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება. ჩემპიონატის ფარგლებში ასპარეზობებს დედოფლისწყაროც უმასპინძლებს. მანამდე კი ჩვენი ნაკრები პირველ გასვლით შეჯიბრს 25 იანვარს ქ. ახმეტაში, ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდთან გამართავს.

რატომ გვიქრება ხშირად დენი?!

რამდენიმე დღის წინ, დედოფლისწყაროში ქარის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. მისი მიწოდების აღდგენა მხოლოდ ერთდღიანი პაუზის შემდეგ მოხდა. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის ჩვენი ცხოვრების უახლოესი წარსულიდან, როდესაც შუქი ქარის ამოვარდნის გამო გათიშულა. ისე რომ, ადამიანებს უკვე ჩამოუყალიბდათ განცდა და იმისი შიში, რომ პატარა ნიავზეც კი, დენის გარეშე დარჩებიან.

ამ ამბავს ერთადერთი მარტივი მიზეზი აქვს- ელექტროენერგიის ბოძები მოძველებულია და არავინ იცის, როდის რომელი ბოძი წაიქცევა. რამდენიმე ხნის წინ შირაქის რედაქციას მოქალაქემ მომართა, მან მისამართი დაასახელა და თავისი სახლის წინ კომუნისტების დროინდელი სინათლის ბოძის შეცვლა მოითხოვა, რადგან ის უკვე წაქცევის პირას იყო და იქ მცხოვრები ადამიანებისთვის საშიშროებას ქმნიდა. ჩვენი ჩარევის შედეგად ბოძი იმავე დღეებში გამოცვალა ენერგოდისტრიბუციამ. თუმცა, იმავე მოქალაქეებმა მალევე აღმოაჩინეს, რომ გვერდით კიდევ იყო შესაცვლელი. რეალობა კი ერთია, ერთეული კი არა, ელექტროგადამცემი სისტემის სრული რეაბილიტაციაა საჭირო კახეთში. თუ როდის მოგვარდება ეს საკითხი კახეთში, ამაზე კახეთის ენერგოდისტრიბუციის პრესსამსახურის უფროსი ჟანა დიდებაშვილი „შირაქთან“ აცხადებს, რომ ეს საკითხი მაშინ მოგვარდება, როცა ახალი ინვესტორი მოვა და თანხას ჩადებს.

ჟანა დიდებაშვილი ინვესტორის შემოსავლის ზუსტ დროს ვერ ასახელებს. ინვესტორის მოსვლის მოლოდინში კი ნუ გამორიცხავთ, რომ ქარის დროს შუქი წავიდეს და გარკვეული დროით დაგემშვიდობოთ. ერთერთი საინტერესო საკითხი კი, რაც გაზეთ „შირაქს“ ენერგოდისტრიბუციასთან ჰქონდა, ის გახლდათ, თუ, რატომ მივიდა კომპანია გაკოტრების პირას. ამაზე დიდებაშვილმა ასეთი პასუხი გაგვცა-„ გაკოტრებას თავისი პროცესები აქვს და ამ საკითხზე კომენტარისთვის ალბათ მე არ ვიქნები კომპეტენტური პირი, ერთ ერთი მიზეზი კი ის არის, რომ სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ ჰესები არ გვაქვს და ეს სერიოზულ პრობლემას ქმნის, რადგან მომწოდებელზე ვართ დამოკიდებული.“- აცხადებს დიდებაშვილი.

ლალი მეხრიშვილი

ელიას მთაზე კელიების მშენებლობისთვის ანგარიში გაიხსნა

დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათად წოდებულ ელიას წმიდა მთაზე კელიების მშენებლობისთვის ბანკში ანგარიში გაიხსნა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ მონასტრის ადმინისტრატორმა თამარ იაკობიშვილმა აცნობა.

იაკობიშვილის განმარტებით, ტაძრის მოძღვარმა მამა ონოფრე წულაძემ მრევლს კურთხევა მისცა, აღნიშნული საბანკო რეკვიზიტების მოსახლეობამდე მიტანის მიზნით სოციალური ქსელებითა და ადგილობრივი მედიასაშუალებებით გავრცელდეს.

ელიას მთაზე აგებულ კელიებში სასულიერო პირები იცხოვრებენ. სასულიერო პირები, რომლებმაც ახლადაშენებულ კელიებში უნდა იცხოვრონ, უკვე დედოფლისწყაროში იმყოფებიან და წირვა—ლოცვებს ესწრებიან.

წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტრის მშენებლობისთვის გახსნილია ანგარიში, რომლის რეკვიზიტებია:

N GE29BG0000000860360800

წმ. ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერი. მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: **BAGAGE22**

გთხოვთ, შეეტანოთ თქვენი წვლილი. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!



მეცხვარეთა საყურადღებოდ!

ვყიდი საუკეთესო ხარისხის შვრიას.
მსურველებმა დარეკეთ:
ტელ: 551 25 17 44

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზიას ესაჭიროება გამყიდველი 25-დან 55 წლამდე. სასურველია ჰქონდეს სავაჭრო ობიექტში მუშაობის გამოცდილება. მსურველები დაგვიკავშირდით
ტელ: 593 27 58 97

ი ყ ი დ ე ბ ა

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

571 55 99 51.
574 77 97 97
ფასი 4000 $

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

შაბათი 26. 01		კვირა 27. 01		ორშაბათი 28. 01		სამშაბათი 29. 01		ოთხშაბათი 30. 01		ხუთშაბათი 31. 01		პარასკევი 01. 02	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
10 °	5 °	7 °	2 °	4 °	3 °	0 °	-1 °	1 °	-2 °	1 °	0 °	0 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეხრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K